საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი- კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. რ. ბ.

თარჯიმანი: თ. წ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.09.2019

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №115/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ზ. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 04 სექტემბერს ადვოკატთა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. რ. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. ჯ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წელს მან იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა ადვოკატ ზ. ჯ.-ს, მათ შორის დაიდო იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულება. ასევე, მომჩივანმა ადვოკატ ზ. ჯ.-ს გაუფორმა მინდობილობა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ ზ. ჯ.-ს უნდა დაეცვა მისი კომპანიის „K. S.”-ის ინტერესები სასამართლოში შპს „ჰ.-ს“ წინააღმდეგ მიმდინარე დავაში. აღნიშნულ საქმეზე

სასამართლომ 2018 წლის 17 ივლისს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც გაუქმდა 2019 წლის 8 თებერვალის განჩინებით.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი წარმოადგენდა როგორც მისი კომპანიის ასევე შპს „ჰ.-ს“ 50% წილის მფლობელი პარტნიორის - ე. მ.-ს ინტერესებს. ამის გამო ადვოკატმა მოპასუხეს განზრახ არ ჩააბარა სარჩელი, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მისი ადგილსამყოფელი იცოდა, ამ ყველაფერმა გამოიწვია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება.

1.5 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატის ქმედებაში ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს, ადვოკატის უმოქმედობით მას ზიანი მიადგა და იგი ითხოვს ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაბრუნებას.

1.6 2019 წლის 04 დეკემბრის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ კომპანია „ჰ.-ს“ ჰქონდა 3 იურიდიული მისამართი და ადვოკატმა წერილი გააგზავნა მხოლოდ ერთ მისამართზე.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 25 სექტემბერს ადვოკატმა ზ. ჯ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება მ. რ. ბ.-ს საჩივართან დაკავშირებით, სადაც მიუთითა, რომ 2016 წლის 4 ნოემბერს იგი თარჯიმანთა ბიუროში შეხვდა მ. რ. ბ.-ს და შპს ,,ჰ.“-ს პარტნიორს ე. მ.-ს. მ. რ. ბ.-ს სურდა ადვოკატს შპს ,,ჰ.“-ს წინააღმდეგ სასამართლო დავაში დაეცვა მისი ინტერესები, მოპასუხის მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. შეხვედრაზე მყოფი შპს ,,ჰ.“-ს პარტნიორი კი ითხოვდა ადვოკატ ზ. ჯ.-ს მიემართა შპს ,,ჰ.“-ს დირექტორისათვის, რათა დირექტორს მოეწვია პარტნიორთა კრება. ადვოკატის განმარტებით, მომჩივანის მსგავსად, მოწინააღმდეგე კომპანიის პარტნიორსაც შპს ,,ჰ.“-ს დირექტორთან ჰქონდა გარკვეული პრეტენზიები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, შეხვედრის შემდეგ, მან ორივე კლიენტთან გააფორმა ხელშეკრულება, 2017 წლის 21 აპრილს კი დამატებით დადო ხელშეკრულება შპს ,,ჰ.“-ს პარტნიორთან, მეორე კლიენტმა მას მინდობილობაც გაუფორმა, კომპანიის დირექტორის გათავისუფლების, ახალი დირექტორის არჩევის პროცედურების ჩასატარებლად და დოკუმენტაციების სამეწარმეო რეესტრში წარსადგენად.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მ. რ. ბ.-ს კომპანიის სახელით, 2016 წლის 11 ნოემბერს სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, ხოლო 2016 წლის 22 ნოემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოპასუხის შპს „ჰ.“-ს მიმართ. სასამართლომ განცხადება დააკმაყოფილა და სარჩელი მიიღო წარმოებაში. ამის შემდეგ მან ფოსტის მეშვეობით რამდენჯერმე გაუგზავნა გზავნილი მოპასუხეს, კომპანიის იურიდიულ მისამართზე. გზავნილი ვერ ჩაბარდა. 2018 წლის 17 ივლისს მისი კლიენტის სასარგებლოდ სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომელიც მიაქციეს აღსასრულებლად. ამ პერიოდში, მოპასუხე მხარის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე სასამართლომ გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა 2019 წლის 08 თებერვალს.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტს შესთავაზა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრება. კლიენტმა განუმარტა, რომ მოიფიქრებდა და მოგვიანებით აცნობებდა. მოგვიანებით კლიენტი დაუკავშირდა და უთხრა, რომ წყვეტდა მასთან სამართლებრივ ურთიერთობას, რადგან არ სურდა განჩინების გასაჩივრება და ასევე მიზეზად დაუსახელა ადვოკატის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტი. ამავე პერიოდში მან კლიენტს ჩააბარა საქმის წარმოების განახლების შესახებ განჩინება, რომელზეც დარჩენილი იყო გასაჩივრების ვადა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრება საფუძვლიანი იყო.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ მისი მხრიდან ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ აქვს, რადგან ერთ შემთხვევაში წარმოადგენდა მოსარჩელეს იურიდიულ პირს - შპს „K. S.”-ს სასამართლოში მოპასუხე შპს „ჰ.“-ს წინააღმდეგ, რა დროსაც დავის საგანი იყო შეუსრულებელი ფულადი ვალდებულების დაკისრება. მეორე შემთხვევაში მომსახურებას უწევდა შპს „ჰ.“-ს 50% წილის მფლობელ პარტნიორს იუსტიციის სახლში, კრების მოწვევასთან, კომპანიის დირექტორის გათავისუფლებასა და ახალი დირექტორის არჩევასთან დაკავშირებით.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ეს საქმეები არ წარმოადგენს ერთსა და იმავე საქმეს, რადგან განსხვავებულია როგორც მომსახურების საგანი, ასევე ხელშეკრულების მხარეებიც. აღნიშნული საქმეები არც ერთმანეთთანაა დაკავშირებული, რადგან სასამართლოში მიმდინარე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება სამართლებრივ გავლენას ვერ მოახდენდა მოპასუხე კომპანიის პარტნიორის სამართლებრივ უფლება - მოვალეობებზე.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ მ. რ. ბ.-ს და შპს-ს 50% წილის მფლობელ პარტნიორს შეხვდა ერთად, მ.-ს ჰქონდა ინფორმაცია, რომელ საქმეში უწევდა მას დახმარებას და პრეტენზია არ გამოუთქვამს, რადგან მათ ინტერესებს შორის კონფლიქტი ვერ წარმოიშვებოდა, მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. ორივე მათგანის ინტერესს წარმოადგენდა შპს „ჰ.-ს“ დირექტორის პოვნა.

2.8 2020 წლის 19 ივნისს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ჰონორარის სახით 2016 წელს მიიღო 2450 ლარი და 2018 წელს დაახლოებით მიიღო 1370 ლარი, ჯამში 3820 ლარი. ამ თანხიდან მან საჩივრის ავტორს დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი, 2000 ლარი.

2.9 ადვოკატი განმარტავს, რომ მიუხედავად მცდელობისა, მან ვერ მიაკვლია შპს „ჰ.“-ს დირექტორს. ეს ინფორმაცია მისთვის არც კლიენტს მიუწოდებია.

2.10 ადვოკატი განმარტავს, რომ მის კლიენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტი რომ წარმოშობილიყო, ის დაუყოვნებლივ შეწყვეტდა მათ მომსახურებას.

II სამოტივაციო ნაწილი:

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ზ. ჯ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 მ. რ. ბ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 4 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2019 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და გადაწყვიტა, რომ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ზ. ჯ.-ის მიმართ.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ზ. ჯ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მოპასუხე მხარის მისამართის ცოდნის მიუხედავად, მას სარჩელი და თანდართული დოკუმენტაცია გაუგზავნა მისამართზე, სადაც არ ბარდებოდა, რის გამოც სასამართლომ გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება; ადვოკატის ქმედებაში სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ზ. ჯ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2.2 ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

5.2.3 ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

5.3 კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის მიერ ცოდნის კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას და კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობას (ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2019 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N122/18).

5.4 ადვოკატმა კლიენტის მოპასუხე მხარეს სარჩელი და დოკუმენტაცია კანონით დადგენილი წესით გაუგზავნა მისთვის ცნობილ, კომპანიის იურიდიულ მისამართზე, სადაც გზავნილი ვერ ჩაბარდა. 2018 წლის 17 ივლისს, ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება საჩივრის ავტორის სარჩელის საფუძველზე, რომელიც მიაქციეს აღსასრულებლად, თუმცა აღსრულება არ მოხდა, რადგან მოპასუხე მხარის

წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, სასამართლომ გააუქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა. საქმის წარმოების განახლების შესახებ განჩინების გასაჩივრება ადვოკატმა ვეღარ შეძლო, რადგან კლიენტს აღარ სურდა მისი მომსახურების მიღება. აღნიშნული ფაქტებით იკვეთება, რომ ადვოკატი მოქმედებდა კლიენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე და თავისი კომპეტენციის ფარგლებში განახორციელა იურიდიული მოქმედებები, რომლებიც კლიენტის ინტერესის დასაცავად იყო მიმართული. კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა პოზიციები, წარმოდგენილი საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. ჯ.-ის მიერ დარღვეული არ არის საქმის კვალიფიციურად, კეთილსინდისიერად წარმოების ვალდებულება.

5.5 „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა თუ ადვოკატის მიერ განსახორციელებელ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ. ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს თავი უნდა აარიდოს და კლიენტი ისე წარმოადგინოს, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2011 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N027/11).

5.6 „იმ ეტაპიდან, როდესაც პირი მიმართავს ადვოკატს საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, გაანდობს მას საქმის თაობაზე ინფორმაციას და მიიღებს იურიდიულ რჩევას ზეპირი თუ წერილობითი ფორმით, იწყება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და შესაბამისად, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ნორმების დაცვის ვალდებულება“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 3 დეკემბრის რეკომენდაცია N013/18).

5.7 „არსებულ კლიენტთა შორის ინტერესთა კონფლიქტი თავს იჩენს ერთობლივი წარმომადგენლობის დროს, როდესაც ორ კლიენტს შორის ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის და აქედან ერთი კლიენტის ინტერესების დაცვა ზიანს მიაყენებს მეორე კლიენტს“ (ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ ხუბულური, კობა ბოჭორიშვილი, დავით კვაჭანტირაძე, ,,ეთიკის კომისიის საქმიანობა, პრეცედენტები, რეკომენდაციები 2010-2013 წ.წ“).

5.8 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი ერთ შემთხვევაში წარმოადგენდა მოსარჩელეს იურიდიულ პირს - შპს „K. S.”-ს სასამართლოში მოპასუხე შპს „ჰ.“-ს წინააღმდეგ, რა დროსაც დავის საგანი იყო შეუსრულებელი ფულადი ვალდებულების დაკისრება. მეორე შემთხვევაში მომსახურებას უწევდა შპს „ჰ.“-ს 50% წილის მფლობელ პარტნიორს იუსტიციის სახლში, კრების მოწვევასთან, კომპანიის დირექტორის გათავისუფლებასა და ახალი დირექტორის არჩევასთან დაკავშირებით. ეს საქმეები არ წარმოადგენს ერთსა და იმავე საქმეს, რადგან განსხვავებულია როგორც მომსახურების საგანი, ასევე ხელშეკრულების მხარეებიც. აღნიშნული საქმეები არც ერთმანეთთანაა დაკავშირებული, რადგან სასამართლოში მიმდინარე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება სამართლებრივ გავლენას ვერ მოახდენდა მოპასუხე კომპანიის პარტნიორის სამართლებრივ უფლება - მოვალეობებზე.

5.9 კოლეგია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომ ადვოკატი მ. რ. ბ.-ს და შპს-ს 50% წილის მფლობელ პარტნიორს შეხვდა ერთად, მ.-ს თავიდანვე ჰქონდა ინფორმაცია, რა საქმეში უწევდა ზ. ჯ. დახმარებას შპს-ს პარტნიორს და პრეტენზია არ გამოუთქვამს, რადგან მათ ინტერესებს შორის კონფლიქტი ვერ წარმოიშვებოდა, მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის კლიენტებს შორის არ წარმოშობილა ინტერესთა კონფლიქტი.

5.10 იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, ადვოკატმა კლიენტს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების თანხა, მის მიერ დარღვეული იქნება აპეკ-ის 8.15 მუხლი:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.11 საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N037/14).

5.12 შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე და კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და

ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. თუმცა კომისიამ ასევე განმარტა, რომ ეთიკის კომისიას არ შეუძლია განსაზღვროს საადვოკატო მომსახურების რომელი მოქმედებისთვის რა თანხა უნდა მიიღოს ადვოკატმა (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N057/17).

5.13 მ. რ. ბ.-სა და ადვოკატ ზ. ჯ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდა კლიენტის ინიციატივით, მანამ, სანამ ადვოკატი მისი საქმის წარმოებას დაასრულებდა. ადვოკატმა კლიენტისაგან საადვოკატო მომსახურების ჰონორარის სახით მიიღო 3820 ლარი. საადვოკატო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატმა ზ. ჯ.-მ კლიენტს დაუბრუნა მიღებული საადვოკატო მომსახურების თანხის 3820 ლარის ნაწილი - 2000 ლარი, რაც დასტურდება 2020 წლის 12 თებერვლის სალაროს შემოსავლის ორდერით N---. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა შეასრულა ეთიკის კოდექსით დაკისრებული გამოუმუშავებელი, პროპორციული ოდენობის ჰონორარის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №115/19 ადვოკატ ზ. ჯ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/